



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 46

2019 წლის 3 მაისი

ქ. თბილისი

2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დაფინანსების  
წესის დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და 2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის კომისიის 2019 წლის 3 მაისის N2 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

- 2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დაფინანსების წესი განაწილდეს შემდეგი სქემით:
  - მოკლევადიან ინდივიდუალურ ვიზიტზე საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის (მობილობის გრანტი) – 406 190 ლარი;
  - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისათვის - 813 810 ლარი;
  - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის (კონფერენციების, სეზონური სკოლებისა და კომბინირებული ღონისძიებების) გამოყოფილი თანხა განაწილდეს შემდეგნაირად:
    - კონფერენციებზე - 328 970 ლარი;
    - კომბინირებულ ღონისძიებებზე - 174 425 ლარი;
    - სეზონურ სკოლებზე - 310 415 ლარი;
- დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
- ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია